

კითხვა/პასუხი საქართველო

რას წარმოადგენს ICC (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო)?

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო („ICC“ ან „სასამართლო“) წარმოადგენს მუდმივ საერთაშორისო სასამართლოს, რომელიც დაფუძნებულია მთლიანი საერთაშორისო საზოგადოებისთვის უმძიმესი დანაშაულებების (უშუალოდ, გენოციდის, დანაშაულებების კაცობრიობის წინაშე და სამხედრო დანაშაულებების) გამოძიების, და ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი დევნის და გასამართლების მიზნით. სასამართლო მდებარეობს ნიდერლანდებში, ქალაქ ჰააგაში.

რის საფუძველზე სასამართლო განიხილავს საქართველოს მოვლენებს?

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გააჩნია უფლება განიხილოს მოვლენები ყველა სახელმწიფოში, რომელმაც მოახდინა რომის წესდების რატიფიცირება (რომის წესდების მონაწილე სახელმწიფოები). საქართველო გახდა რომის წესდების მონაწილე სახელმწიფო 2003 წელს, და ამით, რატიფიცირების დღიდან, სასამართლოს მიეცა სავარაუდოდ ჩადენილი გენოციდის, დანაშაულებების კაცობრიობის წინაშე და სამხედრო დანაშაულებების გამოძიების, და ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი დევნის და გასამართლების უფლება, თუ ასეთი დანაშაული ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე, ან საქართველოს მოქალაქეების მიერ. ამჟამად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამფუძნებელი რომის წესდების რატიფიცირება მოახდინა 123-მა სახელმწიფომ.

2008 წლის 14 აგვისტოს სასამართლოს პროკურორმა დაიწყო საქართველოს სიტუაციის წინასწარი მოკვლევა. ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვის შემდეგ პროკურორმა ჩათვალა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისა, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ იქნა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები, და არსებობს ამ დანაშაულებების გამოძიების გაგრძელების საფუძველი. შემდეგ პროკურორმა ოფიციალური შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს I წინასასამართლო პალატას სიტუაციის გამოძიების გაგრძელების ნებართვის მოსაპოვებლად. 2016 წლის 27 იანვარს მოსამართლეებმა პროკურორის ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილეს. I წინასასამართლო პალატის შემადგენლობაში შედიან მოსამართლეები ჯონს ალუოჩი (თავმჯდომარე), კუნო ტარფუსერი და პეტერ კოვაჩი.

ნებადართული გამოძიების ჩარჩოები.

2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს I წინასასამართლო პალატამ პროკურორს მისცა 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე სამხრეთ ოსეთში და მიმდებარე ტერიტორიებზე ჩადენილი გამოცხადებული დანაშაულებების გამოძიების უფლებამოსილება. ნებისმიერი სხვა დანაშაული, რომელიც ჩადენილი იქნა სხვა დროს, ან სხვა ადგილზე, არ ექვემდებარება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოცემულ გამოძიებას.

საქართველოს სიტუაციის გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების გაცემის მიზეზები.

2015 წლის 13 ოქტომბერს პროკურორმა შეიტანა „ რომის წესდების მე-15 მუხლის შესაბამისი გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების შუამდგომლობა“. პროკურორმა სასამართლოს I წინასასამართლო პალატას მიმართა საქართველოს სიტუაციაში, სამხრეთ ოსეთში და მიდამოებში, 2008 წელს ჩადენილი დანაშაულებების კაცობრიობის წინაშე

და სამხედრო დანაშაულებების გამოძიების უფლებამოსილების გაცემის შუამდგომლობით. 2015 წლის 4 დეკემბერს პალატამ მიიღო ამ სიტუაციაში 6335 დაზარალებული ადამიანის განცხადება.

შუამდგომლობის, და თანდართული მასალების შესწავლის შემდეგ, პალატამ დაასკვნა, რომ არსებობს მართებული საფუძველი, რათა ჩაითვალოს, რომ საქართველოს სიტუაციაში ჩადენილ იქნა ICC-ს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები. ამ დანაშაულებების სია შეიცავს დანაშაულებებს კაცობრიობის წინაშე: მკვლელობას, მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას და დევნას და აგრეთვე სამხედრო დანაშაულებებს: თავდასხმას მშვიდობიან მოსახლეობაზე, განზრახულ ხოცვას, განზრახულ თავდასხმას სამშვიდობო ძალებზე, საკუთრების განადგურებას და ძარცვა/მაროდობას, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში, 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე. პალატამ აგრეთვე ჩათვალა, რომ სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლო სისხლის სამართლის საქმეები დასაშვებია სასამართლოს განხილვისთვის. აგრეთვე დანაშაულებების სიმძიმიდან და დაზარალებულთა დაინტერესებულობიდან გამომდინარეობს, რომ მოცემული გამოძიების ჩატარება ემსახურება სამართლიანობის ინტერესებს. ამ მიზეზების გამო პალატამ მისცა პროკურორს საქართველოს სიტუაციის გამოძიების უფლებამოსილება.

განხორციელდება, თუ არა საქართველოს სიტუაციის ყველა დამრღვევის სისხლისსამართლებრივი დევნა/გასამართლება?

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დევნის პიროვნებებს და არა პიროვნებათა ჯგუფებს, ან სახელმწიფოებს. სასამართლოში მოყვანილი შეიძლება იყოს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ნებისმიერი ადამიანი. მაგრამ სასამართლო არ გააჩნია ყველა ეჭვმიტანილის გასამართლების უნარი. პროკურორის ოფისის პოლიტიკა მდებარეობს დანაშაულის ჩადენაზე ყველაზე მეტად პასუხისმგებელი პირების დადგენაში და სისხლისსამართლებრივ დევნაში.

აქ აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოძიება შეიძლება შეეხოს ყველა ადამიანს, რომელიც იქნება ეჭვმიტანილი სამხრეთ ოსეთში და მიდამოებში 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენაში, ამ ადამიანის მოქალაქეობის მიუხედავად.

ექვემდებარებიან თუ არა დევნას, დანაშაულის ჩადენაზე ყველაზე მეტად პასუხისმგებელი, მაღალი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობის პირები? აქვთ თუ არა მათ ხელშეუხებლობა, ან ამნისტიის მიღების შესაძლებლობა?

სასამართლოს სისხლისსამართლებრივ დევნას ექვემდებარება ყველა ადამიანი, მისი ახლანდელი ან ყოფილი თანამდებობის მიუხედავად, რომელიც მას ეკავა დანაშაულებების ჩადენის დროს. სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, მინისტრის ან პარლამენტის წევრის თანამდებობის შესრულება არ გამოაიციხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე.

გარკვეულ პირობებში, თანამდებობის პირი შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლად, თუ ამ პირმა არ მიიღო საკმარისი ზომები მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებების პრევენციისთვის, ან დამნაშავეების დასჯისთვის.

აგრეთვე, ამნისტია არ დაიცავს ადამიანს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დევნიდან. არავითარი ამნისტია არ უშლის ხელს სასამართლოს უფლებამოსილების განხორციელებას.

როგორ ტარდება გამოძიება?

პროკურორის ოფისის საძიებო პროცესის მიზანია - გამოძიების საგნის შესახებ სიმართლის დადგენა.

ამ მიზნის მიღწევისათვის პროკურორის ოფისის გამოძიებლები აგროვებენ მტკიცებულებებს - ნეიტრალურად, დამოუკიდებლად და ნდობით აღჭურვილი წყაროებიდან. საძიებო პროცესი დროში შეზღუდული არ არის. გამოძიება გაგრძელდება ამდენ ხანს, რამდენიც ესაჭიროება აუცილებელი მტკიცებულებების შეგროვებას, და შემდეგ, არსებული რესურსების, უსაფრთხოების ასპექტის და იმ დროისთვის არსებული სიტუაციის მიხედვით, პროკურორის ოფისი სასამართლოსგან მოითხოვს, დადგენილი დანაშაულის ჩადენაზე პასუხისმგებელი პირების სახელზე, სასამართლო უწყებების ან დაკავების ბრძანებების გაცემას. ფიქტური და დროული გამოძიების ინტერესებში შედის კონფლიქტის ყველა მხარის დროული და თანმიმდევრული თანამშრომლობა, მათი სტატუსის მიუხედავად.

მომდევნო ეტაპი გამოძიების ჩატარების შემდეგ.

იმის შემდეგ, რაც პროკურორის ოფისი შეაგროვებს საკმარის მასალას დასაბუთებლად, რომ არსებობდეს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ჩაითვალოს რომ გამოძიების ქვეშ მყოფი პიროვნება პასუხისმგებელია დანაშაულის ჩადენაზე, პროკურორი წინასასამართლო პალატის მოსამართლეებს მიმართავს სასამართლო უწყების (სასამართლოზე ნებაყოფლობითი დასწრების მოთხოვნა), ან დაკავების ბრძანების გამოტანის თხოვნით. სასამართლო უწყების, ან დაკავების ბრძანების გამოტანა შეიძლება მოხდეს როგორც საჯარო სხდომაზე, აგრეთვე დახურულ კარებშიც.

რა როლს ასრულებენ დაზარალებულები საქმის ამ ეტაპზე?

საქმის დასაწყისში საქართველოს სიტუაციაში დაზარალებულებმა შეიტანეს მნიშვნელოვანი წილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცესში. „მე-15 მუხლის პროცესში“ მონაწილეობის მიღებით, 6000-ზე მეტმა დაზარალებულმა ხელი შეუწყო სასამართლოს მოსამართლეების გადამწყვეტილებას, რომლითაც პროკურორს მიეცა საქართველოს სიტუაციაში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიების დაწყების ნებაართვა.

გამოძიების მიმდინარე ეტაპზე დაზარალებულებს გააჩნიათ უფრო პასიური როლი. ამ ეტაპზე სასამართლოს პროკურორის ოფისმა უნდა ჩაატაროს გამოძიება და შეაგროვოს საქართველოს სიტუაციაში სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები. ძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში არ ტარდება არც ერთი ღონისძიება, რომელშიც მოითხოვება დაზარალებულთა მონაწილეობა. ამიტომ **დაზარალებულთა შუამდგომლობის ფორმების** შევსების მომენტი ჯერ არ მოვიდა. დაზარალებულთა შუამდგომლობის ფორმების დანიშნულება არის საქმის სასამართლო გარჩევაში მონაწილეობის მიღების უფლების მოთხოვნა. ძიების ფაზაში-კი არც ერთი სისხლის სამართლის საქმე ჯერჯერობით აღძრული არ არის. მოგვიანებით ეჭვმიტანილთა ვინაობის დადგენის, და საქმის დაწყების შემთხვევაში, ეჭვმიტანილის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის დაზარალებულებს ექნებათ სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცესში მონაწილეობის უფლება ნიშნავს, რომ დაზარალებულებს გააჩნიათ უფლება, მათი მხარდაჭერისთვის დანიშნული ადვოკატის შუამავლობით („დაზარალებულთა იურიდიული წარმომადგენელი“), სასამართლოს შეატყობინონ თავისი თვალსაზრისი და დამოკიდებულება პროცესისადმი. დაზარალებულთა ადვოკატი დაესწრება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხდომებზე და დაიცავს მისი კლიენტების ინტერესებს საქმის სასამართლო გარჩევის ყველა ეტაპზე.

კიდევ ერთხელ, სასამართლო გარჩევის პროცესში შუამდგომლობის შეტანის პროცედურა გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი, გამოძიების დასრულების შემდეგ, აღძრავს საქმეს პიროვნების (ან პიროვნებათა ჯგუფის) წინააღმდეგ. თუ საქართველოს სიტუაციაში გამოძიების ჩატარების შედეგი იქნება 2008-ში სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებით, ადამიანის (ან ადამიანთა ჯგუფის) წინააღმდეგ საქმის (ან საქმეების) დაწყება, მაშინ დაზარალებულებს ექნებათ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მოთხოვნის უფლება. დაზარალებულმა, რომელსაც ექნება პროცესში მონაწილეობის მიღების სურვილი, უნდა შეიტანოს ოფიციალური შუამდგომლობა. სასამართლო კანცელარიის სპეციალიზებული დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციების ქვეგანყოფილება (VPRS) დაეხმარება დაზარალებულებს ან მათ წარმომადგენლებს მონაწილეობის უფლების მოთხოვნის პროცესის გავლაში და შუამდგომლობის დროულად შევსებაში. ინფორმაციისთვის დაზარალებულთა მონაწილეობის, ან ზოგადად უფლებების შესახებ, დაუკავშირდით დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციების ქვეგანყოფილებას მისამართზე: vprs.applications@icc-cpi.int

ვინ ასრულებს დაკავების ბრძანებებს?

სასამართლოს საკუთარი პოლიციური ძალები არ გააჩნია.

ყველა შემთხვევაში, სახელმწიფოები აგებენ პასუხს დაკავების ბრძანებების შესრულებაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსების დროს სახელმწიფოებმა შექმნეს ორი ნაწილიდან შემდგარი მართალმსაჯულობის სისტემა. სასამართლო წარმოადგენს ამ სისტემის მართალმსაჯულობის ნაწილს. სახელმწიფოები-კი ასრულებენ ოპერატიულ ფუნქციებს, სასამართლოს ბრძანებების შესრულების ჩათვლით. რომის წესდების მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ სასამართლოსთან სრული თანამშრომლობის კანონიერი მოვალეობა. დანარჩენი

სახელმწიფოებისათვის თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან ნებაყოფლობითა, აგრეთვე დაკავების ბრძანებების შესრულების საკითხშიც.

www.icc-cpi.int | ეს არ არის სასამართლოს ოფიციალური საბუთი. საბუთი მიზანმიმართულია საჯარო ინფორმაციისთვის. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო: Oude Waalsdorperweg 10; 2597 AK, The Hague (ქ. ჰააგა), The Netherlands (ნიდერლანდები). საფოსტო მისამართი: PO Box (საფოსტო ყუთი) 19519; 2500 CM, The Hague (ქ. ჰააგა), The Netherlands (ნიდერლანდები). ტელ. +31 (0)70 515 8515; ფაქსი +31 (0)70 515 8555. YouTube (იუტუბი): www.youtube.com/IntlCriminalCourt; Twitter (ტვიტერი): www.twitter.com/IntlCrimCourt; Flickr (ფლიკრ) www.flickr.com/photos/icc-cpi